ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/6553-14

"21" 10 2014 წ.

დადგენილება №000736
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

21.10.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 02 სექტემბრის №000736 მითითება და 2014 წლის 19 სექტემბრის №000736 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "თბილისი 94"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №206051323, დირ. დავით ვასაძე (პირადი №01008005344, მის: ქ. თბილისი, მეველეს ქ. №3) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზ. №91ა-ში შ.პ.ს. "თბილისი 94"-ის მიერ განხორციელდა საწარმოო-სასაწყობო შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1165534 AR1173037 12.03.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: +0,00 ნიშნულზე „ზ-ე" მონაკვეთში კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი „დ-დ" ღერძისკენ. „3-3" და „4-4" ღერძებზე არსებულ კოლონებს შორის მანძილი შემცირებულია 0,6მ-ით. „გ-დ" მონაკვეთში „4-4" და „5-5 " ღერძებზე არსებულ კოლონებს შორის მანძილი გაზრდილია 0,5მ-ით. „1-1" და „2-2" ღერძებზე არსებულ კოლონებს შორის მანძილი შემცირებულია 0,2მ-ით. გაზრდილია სართულის სიმაღლე 1,4 მ-ით. +3,40 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში ფილაში შეცვლილია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ღიობის გაბარიტები და კონფიგურაცია. „ა-ა1" მონაკვეთში „1-4" ღერძებს შორის გაზრდილია კონსოლის სიგანე 0,8 მ-ით. „ა1-ა1" და „ბ-ბ" ღერძებზე არსებულ კოლონებს შორის მანძილი შემცირებულია 1 მ-ით.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 02 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №000736, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წლის 19 სექტემბერს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000736, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2014 წლის 17 ოქტომბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "თბილისი 94"-ის დირექტორი დავით ვასაძე (პირადი №01008005344), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. სხდომაზე, ასევე გამოცხადდა მომჩივანი მხარე მოქ. ნინო გეთიაშვილი (პირადი №01024039763). მხარემ აღნიშნა, რომ მითითებაში არსებული დარღვევები ობიექტზე არსებობს და აპირებენ პროექტის კორექტირებას. მომჩივანმა მხარემ განაცხადა, რომ მშენებლობა აყენებს ზიანს და მოითხოვა მისი დემონტაჟი. მხარემ განაცხადა, რომ დარღვევები ობიექტზე გამოიწვია არსებულმა სიტუაციამ. კერძოდ, მათ წითელ ხაზებში სხვა ნაგებობების არსებობამ. მომჩივანმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (503მ²), სადაც მიმდინარეობს მშენებლობა გააჩნია პრეტენზია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობების არსებობას, ასევე 2005-2006 წლებში აშენებული მეველს ქუჩაზე არსებული ორი მეგა ქარხნის არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "თბილისი 94"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზ. №91ა-ში შ.პ.ს. "თბილისი 94"-ის მიერ განხორციელდა საწარმოო-სასაწყობო შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1165534 AR1173037 12.03.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "თბილისი 94" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "თბილისი 94"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "თბილისი 94"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე დ. მედულაშვილი

ჩვენი პური

შპს-ფუნთუშეულის სანახმო

გას. N 91/01
29.10.2014

თბილისის მერიის სსიპ
თბილისის არქიტექტურის სამსახურს

წარმოგიდგენთ ქ. თბილისში ქ. წამებულის ქ. N 91ა -ში შპს თბილისი 94-ის მიერ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 მარტის N 1165534 არ1173037 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევის გამო, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 21 ოქტომბრის N 000736 დადგენილების პირველი პუნქტით დაკისრებული ჯარიმის, 3000 ლარის, გადახდის დამადასტურებელ 28,10,2014 წლის N 717 საგადასახადო დავალებას.

დირექტორი
დავით ვასაძე

შ.პ.ს. "თბილისი 94"
თბილისი, მეველეს ქ. 3
ტელ.: +995 32 2700070; +995 32 2147297
ელ-ფოსტა: chvenipuri@gmail.com

"Tbilisi 94" LTD
Tbilisi, mevele str. 3
Tel.: +995 32 2700070; +995 32 2147297
e-mail: chvenipuri@gmail.com

ელექტრონული საგადახდო დავალება N 717
"28" ოქტომბერი 2014

რეფერენსი
3089649075.00

გადამხდელის დასახელება: შპს "თბილისი 94"

ანგარიში (დებეტი): GE63BG0000000121307100GEL
121307100(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა
3000-00

თანხა სიტყვებით
სამი ათასი ღარი 00 თეთრი

გადამხდელის დასახელება: შპს "თბილისი 94"

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 206051323

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მიერ: 28.10.14

ხელმოწერა

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
შექმნილია ინტერნეტ ბანკში
CREATED IN INTERNET BANK

გადახდის დანიშნულება: თანახმად დადგენილებისა N000736 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ. ა.